

ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ხელსაწყოების გამოყენების ეთიკური ნორმები

მუხლი 1 - ზოგადი დებულებები

- 1.1 წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს კავკასიის უნივერსიტეტში (შემდომში „უნივერსიტეტი“) ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ხელსაწყოებით მუშაობის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს;
- 1.2. აღნიშნული წესით იხელმძღვანელებს სტუდენტი ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ხელსაწყოებით მუშაობის დროს.
- 1.3. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში გამოყენებული იქნება შესაბამისი შიდანორმატიული აქტებით განსაზღვრული პირობები.

მუხლი 2 - აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობა

- 2.1. სტუდენტების მხრიდან, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტების თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია:
 - 2.1.1. სასწავლო კურსის ლექტორმა სტუდენტს მიუთითოს ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ხელსაწყოებით მუშაობის პროცესში იხელმძღვანელოს წინამდებარე დოკუმენტით.
 - 2.1.2. იმ შემთხვევაში, თუ ლექტორს სურს თავისი კურსის ფარგლებში დამატებითი შეზღუდვები დააწესოს გენერაციული ხელსაწყოების გამოყენების დროს, მაშინ ლექტორმა სილაბუსში დეტალურად უნდა გაწეროს დამატებითი პირობები ან/და გამოყენების ინსტრუქცია.

მუხლი 3 - სტუდენტების მიერ გენერაციული ხელსაწყოების გამოყენების ეთიკური ჩარჩოები:

- 3.1. ხელოვნური ინტელექტის (გენერაციული ხელსაწყოების: „ჩატ-ჯიპიტის“, „ჯემინის“ და სხვ.) გამოყენების დამალვა ან შენიღბვა ჩაითვლება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევად, რაზეც სტუდენტი პასუხს აგებს კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი „აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსით“ დადგენილი სანქციების შესაბამისად.
- 3.2. ხელოვნური ინტელექტის (გენერაციული ხელსაწყოების) გამოყენება სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალებების შესრულებისთვის დასაშვებია: -----::
 - ა) სასწავლო კურსის დავალებისთვის წყაროების მოძიების მიზნით;
 - ბ) წყაროს შესახებ მოკლე ინფორმაციის მიღების მიზნით;
 - გ) ტექსტის გრამატიკული კორექტირების მიზნით.
- 3.3. ხელოვნური ინტელექტის (გენერაციული ხელსაწყოების) გამოყენება საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში დასაშვებია:
 - ა) ნაშრომისთვის წყაროების მოძიების მიზნით;
 - ბ) წყაროს შესახებ მოკლე ინფორმაციის მიღების მიზნით;
 - გ) კვლევის გეგმის შედგენისას;
 - დ) ინფორმაციის მოძიების მიზნით;
 - ე) ტექსტის გრამატიკული კორექტირების მიზნით.

მუხლი 4 - ხელოვნური ინტელექტის (გენერაციული ხელსაწყო) გამოყენების პირობები და მისი გამოყენებისას სტუდენტის ვალდებულებები:

4.1. სტუდენტმა აკადემიურ ნაშრომს უნდა დაურთოს შემდეგი განაცხადი:

„ვაცხადებ, რომ ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ხელსაწყოებს ვიყენებ ეთიკური და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით“.

4.2. სტუდენტმა გენერაციული ხელსაწყოთი შექმნილი ტექსტის მონაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, ტექსტის მონაკვეთი დაიმოწმოს ციტირების ან პარაფრაზირების სახით. წყაროს დამოწმება ხდება შემდეგნაირად:

- შიდა ტექსტური ციტირების დროს - (Open AI, 2024).
- გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში: OpenAI (2024). ChatGPT (version) [Large Language Model]. [URL]
- ჯემინის შემთხვევაში: Google. (n.d.). Gemini: A new generative tool. Retrieved Month Day, Year, from [URL]

4.3. კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში ზუსტად აღწეროს ამ ტიპის ხელსაწყო როლი მის ნაშრომში: რა ტიპის დავალებით (ბრძანებით - "prompt"-ით) მიმართა პროგრამას, როდის ამოიღო ეს ინფორმაცია (თარიღი) და რა ფორმით გარდაქმნა და ასახა ნაშრომში. მაგალითად, გენერაციული ხელსაწყო (დასახელება) გამოყენებული იყო მონაცემთა ანალიზისათვის ან ლიტერატურის მიმოხილვისთვის, ან ნაშრომის სტრუქტურის გენერირებისთვის.

4.4. აკადემიურ ნაშრომს დაურთოს ის ბრძანებები (prompt) და ტექსტები, რაც ამ ტიპის ხელსაწყოებიდან მოიპოვა.

მუხლი 5. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება

5.1. ხელოვნური ინტელექტის (გენერაციული ხელსაწყო) გამოყენება დაუშვებელია:

5.1.1. თუ სასწავლო კურსის სილაბუსში კონკრეტულ აქტივობაზე მითითებულია, რომ აღნიშნული პროგრამის გამოყენება ნებადართული არ არის;

5.1.2. აკადემიური ნაშრომის ისეთი მონაკვეთის შესაქმნელად, რომელთა ორიგინალობა აუცილებელია: კვლევა, მიგნებები, დასკვნა, რეკომენდაციები. მათი ავტორი უნდა იყოს სტუდენტი;

5.1.3. ღია კითხვებზე პასუხის, ესსეს, რეფერატის, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ტექსტის სრულად გადმოწერა (ე.წ. copy -paste) გენერაციული ხელსაწყოდან. აღნიშნული ქმედება პლაგიატის ტოლფასია, რის გამოც სტუდენტს დაეკისრება „აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსით“ გათვალისწინებული პასუხისმგებლობა;

5.3. გენერაციული ხელსაწყოებიდან მოპოვებულმა ინფორმაციამ არ უნდა ჩაანაცვლოს ორიგინალური წყაროები. სტუდენტი ვალდებულია მოიძიოს შესაბამისი სამეცნიერო წყაროები და მათ მიანიჭოს უპირატესობა აკადემიურ ნაშრომში;

5.4. სტუდენტი (აკადემიური ნაშრომის ავტორი) ვალდებულია შეასწოროს ხელოვნური ინტელექტის (გენერაციული ხელსაწყოების) მიერ შექმნილ ტექსტში არსებული ცდომილებები. ტექსტის შინაარსობრივ სისწორეზე სტუდენტი (აკადემიური ნაშრომის ავტორი) თავად არის პასუხისმგებელი. ლიტერატურის მიმოხილვის ხელსაწყოდან გენერირების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია შესაბამისი ბრძანებით მიმართოს პროგრამას, ასევე გადაამოწმოს ხელოვნური ინტელექტის მიერ წარმოდგენილი წყაროების ნამდვილობა, სანდოობა და მიუთითოს შესაბამისი გვერდები პირველწყაროდან.